მემკვიდრეობა

ირაკლი მანველიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
საჯარო მმართველობის დოქტორი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

გელა ირემაძე

სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ და აჭარის ავტონომიის საკითხი

აჭარის ავტონომიის იდეის პროპაგანდაში ნებსით თუ უნებლიედ, გაზეთმა „სამუსლიმანო საქართველომ“ თავისი წვლილი შეიტანა. მის ფურცლებზე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის, მეჯლისის განცხადებებსა და მოწოდებებში, ასევე სარედაქციო წერილებში აშკარად იკვეთებოდა ავტონომიის აუცილებლობა.

გაზეთი იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის ორგანო, რომელიც დაარსდა 1919 წლის 11 იანვარს *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“ 1919, 11 იანვარი, № 1; აბაშიძე, 1973: 114).* ამ საპოლიტიკო, საეკონომიკო და სალიტერატურო გაზეთის სახელად თავდაპირველად „აჭარა“ შეურჩევიათ, მაგრამ შემდეგ, როგორც გაზეთის პირველ ნომერში მოთავსებული რედაქციის შენიშვნიდან („ჩვენი ბოდიში“) ჩანს, „სამუსლიმანო საქართველო“ დაურქმევიათ *(იქვე).* გაზეთის ტირაჟი 1500 ეგზემპლარს აღწევდა *(გაზ. „საქართველო, 1919, 21 იანვარი, № 15; კრებული III, 2002: 9).* გაზეთი 1919-1921 წლებში გამოდიოდა ქ.

ბათუმში რედაქცია მდებარეობდა შეპელის ქ. №7-ში. სულ გამოვიდა 500 ნომერი ((1919 წელს № 1-262; 1920 წელს № 163-493; 1921 წელს № 494-500); *(ბაქრაძე, 1947: 60).* გაზეთი იბეჭდებოდა მოზრდილი ფორმატის ქაღალდზე, ოთხ (იშვიათად ორ) გვერდზე, რომელთაგან ორი გვერდი ქართულენოვანი (ქართული შრიფტით) იყო და ორიც თურქულენოვანი (არაბული შრიფტით) *(მესხია, 1997: 60).* დღემდე ცნობილია ამ გაზეთის 60-მდე ნომერი, მათგან 44 ქართულენოვანი და 16 თურქულენოვანი *(კრებული III, 2002: 44).* გაზეთის პირველი რედაქტორი თახსინ ხიმშიაშვილი იყო, რომელიც 1919 წლის ივლისში მემედ აბაშიძემ შეცვალა *(მესხია, 1997: 63).* როგორც გაზეთის პირველივე ნომერში მოთავსებული მ. აბაშიძის წერილიდან ირკვევა, გაზეთის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობისთვის სრული ინფორმაციის მიწოდება აჭარის ავტონომიის შესახებ. კერძოდ მასში ნათქვამია: რაკი ჩვენი სარწმუნოება და სოციალური ყოფა-ცხოვრება მეორედგან (დანარჩენი საქართველოსგან - ი. მ.) განირჩევა, ჩვენი ქვეყნის (აჭარის - ი. მ.) მთავრობის სახეც სხვა იქნება, რასაც კი საქართველოს საზღვრებში სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომია უზრუნველყოფს. მართალია ჩვენი ქვეყანა მთელი საქართველოს რესპუბლიკაში შედის, მაგრამ, ამავე დროს, იგი თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებლად არის.., ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენივე ხალხი იქნება. ყოველივე ეს ჩვენი ორგანოს მიერ იქნება განმარტებული. ავტონომიის ფორმისა და სისტემის შესახებ გარკვეული ცნობების მოწოდებისთვის ჩვენი გაზეთი თავის ეროვნულ დანიშნულებას ერთი წუთითაც არ უღალატებს... *(გაზ. „სამუსლიმანო საქართელო“, 1919, 11 იანვარი, № 1; აბაშიძე, 1973-28).*

გაზეთის რედაქცია თანამშრომლობისთვის იწვევდა ყველას, ვისთვისაც მისაღები იყო მათი იდეები. 1919 წლის მოწოდებაში ნათქვამია „ჩვენი გაზეთის მიზანია განამტკიცოს ... სამუსლიმანო და საქრიატიანო საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა, *რომ საქართველოს ფარგლებში ფართო ავტონომი-*

ურ ნიადაგზე შევიდეს სამუსლიმანო საქართველო...., ამ მიზანს ვემსახურებით და ამის შესაფერ წერილებს მოველით ჩვენ თანამშრომელთაგან *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919, 17 იანვარი, № 5; აბაშიძე, 1998: 159).*

გაზეთის ფურცლებზე განთავსებულ პუბლიკაციებსა თუ მოწოდებებს ლაიტმოტივად გასდევს ავტონომიის საკითხი. ყველა პოლიტიკური ხასიათის წერილში ხაზგასმითაა აღნიშნული ავტონომიის აუცილებლობა და გარდუვალობა რეგიონისათვის. მაგ. „დღეს კი დროა ხალხმა თვითონ განაგოს თავის საქმეები, რათა ბოლო მოეღოს ხალხის უბედურებას და სხვის ზურგზე ბატონობას.... *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919, 17 იანვარი, № 5; აბაშიძე, 1998:156);* „...ჩვენი ერთადერთი გზა, ერთადერთი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია, ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში - აი რა გვიხსნის ჩვენ, სხვ გზა არ არის.... *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 17 თებერვალი, № 225; აბაშიძე, 1998: 156).* „ერთადერთი ხსნა ჩვენი ქვეყნისა საქართველოსთან ერთობაშია. ავტონომიურად გაერთიანება საქართველოსთან - აი რა მოგვანიჭებს ბედნიერებას. ვინც ამას ეწინააღმდეგება, ის ამით ღუპავს ჩვენს საქმეს, ის ამით დანას ლესავს ჩვენი საარსებო ინტერესების წინააღმდეგ *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 18 აპრილი, № 339).* „უბედურებისაგნ ვიხსნით თავს.... მხოლოდ მაშინ, თუ ერთხმად დავადგებით ერთადერთ სწორ გზას დედა სამშობლოსთან ქ. ბათუმის და მისი ოლქის ავტონომიურად გაერთიანებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგველის უცილობელი დაღუპვა...*(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 19 მაისი; აბაშიძე, 1998:143).* ამგვარი ამონარიდების მოტანა ბლომად შეიძლება გაზეთის პუბლიკაციებიდან. აქ ყურადღებას იქცევს წინადადებათა ორაზროვანება „ხსნა და ბედნიერება“ საქართველოსთან ერთიანობაშია თუ რეგიონის ავტონომიურ მოწყობაში ან მათი მტერი ავტონომიის მოწინაღმდეგეა თუ საქართველოს ერთიანობის. ასეთი ორაზროვანი მოწოდებები მოსახლეობის ფართო მასებში, სუსტი ეროვნული

ცნობიერების პირობებში, ავტონომიის გარდაუვალ აუცილებლობის პროპაგანდას უწყობდა ხელს.

რას მოიაზრებდნენ გაზეთის მესვეურნი „ფართო ავტონომიის“ ცნებაში? გაზეთის პირველ ნომერში ამასთან დაკავშირებით აღნიშნულია: „მართალია, ჩვენი ქვეყანა მთელი საქართველის რესპუბლიკის შემადგენლობაში შედის, მაგრამ, ამავე დროს, იგი თავის შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებლად არის. სწავლა-განათლება, სასამართლო, ადმინისტრაცია, ერობა, შარიათი, კანონმდებლობა და სხვა ჩვენი იქნება. ერთი სიტყვით, ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი ჩვენივე ხალხი იქნება.“ *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1919, 11 იანვარი, № 1; აბაშიძე, 1973: 28).* თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ავტონომიისა და საქართველოს ხელისუფლების პრეროგატივებზე განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები სხვადასხვა განცხადებებში განსხვავებულ შეხედებულებებს აყალიბებდნენ. მაგ. 1919 წლის 1 იანვრის განმათავისუფლებელი კომიტეტის მოწოდებაში, ზემოთ ჩამოთვლილ ავტონომიის შინაარს ემატება საკუთარი მთავრობის და გვარდიის ყოლა *(გაზ. „საქართველო რესპუბლიკა“, 1919, 1 იანვარი, № 1; აბაშიძე, 1998: 147).* განმათავისუფლებელი კომიტეტის პროგრამაში აღნიშნულია: სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა უნდა იქნეს სრულიად დამოუკიდებელი თავის შინაურ საქმეებში. ეს საქმეებია: სარწმუნოებრივი, სასამართლო, ადმინისტრაცია, სწავლა-განათლება, მეურნეობა, ვაჭრობა, მრეწველობა და სხვა ეკონომიკური საქმეები, ასევე სხვა შინაური საქმეებში სრული დამოუკიდებლობა...., სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა მთელ საქართველოს მთავრობასთან ერთად *განსაზღვრულ პირობებში* უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედრო, ფინანსური, საგარეო, ფოსტა ტელეგრაფი, რკინიგზა და საბაჟო...“ *(ოქროპირიძე, 2001:74*). ბათუმის ოლქის 1919 წლის 31 აგვისტოს ყრილობაზე მიღებული დადგენილებით, საფინანსო, სამხედრო და საგარეო საქმე საერთო იქნება აჭარასა და დანარჩენ საქართველოს შორის; ხოლო

სხვა საკითხებში ავტონომიური უნდა იყოს აჭარა *(გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, 9 სექტემბერი, № 623; კრებული III, 2002: 26).* თუმცა იმავე გაზეთთან მიცემულ ინტერვიუში 1920 წლის 30 ივლისს მ. აბაშიძემ განაცხადა: „თავისთავად ცხადია, რომ ძირითადი უფლებანი სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიისა, შეტანილ იქნება საქართველოს კონსტიტუციაში. საერთო სახელმწიფო საქმეები შემდეგი იქნება: საქმე საფინანსო, საფოსტო-სატელეგრაფო, სარკინიგზო, საბაჟო და აგრეთვე საგარეო. დანარჩენი საქმეები მოწესრიგებულ იქნება ადგილობრივ, მასზე გავრცელდება სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური უფლებები. აგრარული საკითხი მომავალ მეჯლისში ან პარლამენტში (აჭარის - ი. მ.) უნდა გადაწყდეს *(გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 1 აგვისტო, № 890; კრებული III, 2002: 47).*

ამრიგად, ავტონომიის ფართო გაგებაში, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს მივიღებთ მხედველობაში, მოიაზრებოდა საქართველოს შემადგენლობაში სახელმწიფო-პოლიტიკური წარმონაქმნი. ავტონომიის უფლება-მოვალეობაზე ასეთი დამაბნეველი განცხადებები აშკარად უნდა მიუთითებდეს, რომ „აქ არა თუ ხალხს, თვით ვითომ და ამ ხალხის მეთაურებსაც არა აქვს შეგნებული თუ რა არის ეს ავტონომია.., სიტყვა ავტონომია აქ მხოლოდ ე. წ. ინტელიგენციის გამოგონილი და ხალხში გასროლილი ლოზუნგია“ - შენიშნავდა ბათუმში მყოფი საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი *(სილაგაძე; გურული, 1998: 23).*

ავტონომია რომ თავიდანვე აჭარის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის მიზანდასახულობას წარმოადგენდა მიუთითებს მათი განცხადებები. მაგ. მ. აბაშიძე 1920 წლის ბოლს აცხადებდა: „რუსეთის დიდმა რევოლუციამ გვარგუნა როგორც ჩვენ, აგრეთვე ყველა ერებს ეროვნული თვითგამორკვევის უფლება, ამ სარგებლობით ჩვენ შევუდექით თავის მუშაობას ამას მივეცით უფრო ფართო ორგანიზაციული და ხალხური ხასიათი. ამ მიზნით ჩვენ დავაარსეთ ბათუმის და მისი ოლქის ქართველ

მუსლიმანთა კომიტეტი..., თანდათან ჩვენ მუშაობას მიეცა პარტიული ხასიათი. ძირითადი აზრი, იდეა ჩვენი მუშაობისა შედგებოდა ორი მომენტისაგან: პირველი-საქართველოს მთლიანობა და მეორე სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია (*აბაშიძე, 1998: 163),* პირველი დავალება უკვე შესრულებულია (1919 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილება და 1920 წლის ივლისში ბათუმის ოლქზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა) და დარჩა მეორე-ავტონომია, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს, არჩეული იქნას დროებითი მთავრობა.... და პარლამენტი *(გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 1 აგვისტო, № 890; კრებული III, 2002: 47).*

ზემოთქმულიდან გამომდინარე რეგიონის ავტონომიურ მოწყობაზე მსჯელობა ბათუმში რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ იწყება. ამ იდეის განხორციელების იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ მუშაობას მოგვიანებით გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ უზრუნველყოფდა. როგორც მითითებულია გაზეთის ერთ-ერთ სტატიაში, ავტონომიის აუცილებლობა რეგიონში „სჯულის სხვაობამ“ წარმოშვა, *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 5 სექტემბერი, № 445),* რის საფუძველზეც „სამუსლიმანო საქართველოს გაცილებით უკეთესად შეუძლია განავითაროს-ააყვავოს ისლამის კულტურა დედა საქართველოს ფარგლებში ავტონომიის მდგომარეობით... *(გაზ. „სამუსლიმანო საქართველო“, 1920, 12 მაისი, № 357).* ცხადია, ავტონომიის პროპაგანდა მიმდინარეობდა, არა როგორც შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებითი ნაბიჯი, არამედ საბუთდებოდა რელიგიური და სოციალურ-ყოფითი აუცილებლობით, რომ ამით უნდა დაცულიყო სარწმუნოება და მათი ყოფა. ან კიდევ როგორ უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ განმათავისუფლებელი კომიტეტის და მეჯლისის წევრები ავტონომიის იმგვარ მოდელს აყენებდნენ, რომელიც საქართველოს შემადგენლობაში სახელმწიფო-პოლიტიკური წარმონაქმნის ალბათობას უშვებდა. ამგვარ პირობებში ავტონომიის რელიგიური მოტივიც იჩრდილებოდა და იგი პოლიტიკურ სახეს იძენდა. სავარაუდოა, რომ რე-

ლიგიის საფარქვეშ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა კარგად ნიღბავდა ამ ავტონომიის პოლიტიკურ სარჩულს.

უფრო ნათლად, რომ წარმოვიდგინოთ და დავინახოთ თუ რატომ ითხოვდა განმათავისუფლებელი კომიტეტი „სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას“, უნდა გაირკვეს რა საფუძველზე, რა მიზეზით და რა სახის ავტონომიას ითხოვდა ეს ორგანიზაცია. ცნობილია, რომ ძირითადად ავტონომიის საფუძვლი შეიძლება ყოფილიყო ეთნიკური და კულტურული მოტივი. ორივე მოტივი სამუსლიმანო საქართველისთან მიმართებით, ობიექტური რეალობიდან გამომდინარე, ვერ გამოდგებოდა. რჩებოდა ერთადერთი რელიგიური და სოციალურ-ყოფითი საფუძველი, თუმცა თუ დავუკვირდებით ესეც თავიდანვე გაურკვეველს ხდიდა თუ ასეთ პირობებში რა ფუნქცია უნდა დაკისრებოდა ავტონომიას, დაეცვა იქ არსებული რელიგიურ-ყოფითი თავისებურება თუ მის ლიკვიდაციაზე ემუშავა. თუ ავტონომიის საფუძველი რელიგიური და სოციალურ-ყოფითი მოტივი იქნებოდა, და როგორც განმათავისუფლებელი კომიტეტის წევრები მიუთითებდნენ, ავტონომიას სწორედ ეს მოტივები უნდა დაეცვა და გაეძლიერებინა, მაშინ ასეთი ავტონომია კულტურულ სახეს შეიძენდა, რაც თავისთავად აბსურდი გახდებოდა, ვინაიდან რეგიონის სულიერი ორიენტაციის ვექტორი სამხრეთისკენ წარიმართებოდა, რაც ბევრ სხვა რამესაც განსაზღვრავდა. ასე რომ რელიგიური მოტივით შექმნილი ავტონომია საბოლოოდ კულტურულ-პოლიტიკურ სახეს მიიღებდა.

ავტონომიის გარდაუვალი აუცილებლობის პროპაგანდის შედეგი უნდა ყოფილიყო მოსახლეობის გაღიზიანება, როცა 1920 წლის ივლისში ბათუმზე აღსდგა საქართველოს იურისდიქცია და საქართველოს მთავრობამ აუცილებლობიდან გამომდინარე პირდაპირი მმართველობა შემოიღო. „პირველი რასაც აქ ყოველგან და ყველასგან გაიგონებთ, არის ავტონომია, დიდი და პატარა, ბეგი, გლეხი თუ სასულიერო პირი, ნასწავლი თუ უსწავლი,

პირველი გაცნობისთანავე ავტონომიას მოგახლის პირში, ამით დაიწყებს და ამით გაათავებს თქვენთან ლაპარაკს, ... ავტონომია. რა უყავით ავტონომია... გკითხავენ დაუყოვნებლივ, .. აქ ავტონომიის საკითხი ისეა მომწიფებული, იმისი სიყვარული და აუცილებლობის გრძნობა ისე გასჯდომია ხალხს რძვალრბილში, რომ უამისოდ სიცოცხლე არ ეხერხებათ“ *(სილაგაძე; გურული, 1998:22-23).* ცხადია ავტონომიის ფართო პროპაგანდა მოსახლეობის ფართო მასებზე თავისებურ გავლენას ახდენდა.

ამრიგად, გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ და შესაბამისად განმათავისუფლებელი კომიტეტის სწრაფვა და იდეოლოგიური საფუძვლების შექმნა ავტონომიის გარდაუვალობის შესახე, რომელსაც უკავშირებდნენ აჭარის ხსნას და ადგილობრივ მკვიდრთა ბედნიერება-კეთილდღეობა, ბადებს ეჭვს, რომ რეგიონისათვის განსაკუთრებული სტატუსის პროპაგანდა მოსახლეობაში მიზანმიმართულად ხდებოდა.

წყაროები და ლიტერატურა:

1. გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ 1919, 11 იანვარი, №1; 1919, 17 იანვარი, №5; 1920, 17 თებერვალი, №225; 1920, 18 აპრილი, №339; 1920, 19 მაისი, №361; 1920, 12 მაისი, №357.

2. გაზეთი „საქართველო”, 1919, 21 იანვარი, №15.

3. გაზეთი„სახალხო საქმე”, 1920, 1 აგვისტო, №890.

4. გაზეთი„საქართველო რესპუბლიკა,“ 1919, 1 იანვარი, №1.

5. გაზეთი „სახალხო საქმე,“ 1919, 9 სექტემბერი, №623.

6. აბაშიძე მ., თხზულებანი, გ. შარაძის რედაქციით, ბათ., 1998.

7. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო ცენტრი, კრებული III, ბათ., 2002.

8. ბაქრაძე ი., ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, თბ., 1947.

9. სილაგაძე ა., გურული ვ., პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920 წ.), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი, თბ., 1998.

10. ოქროპირიძე უ., აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან, ბათ., 2001.

Irakli Manvelidze, Gela Iremadze

Newspaper „Muslim Georgia~ and the problem of autonomy in Adjara

Abstract

As it can be easily seen in the article propaganda of irreversible autonomy in Adjara was artificially started in the region to make the population believe that autonomy was the only way for welfare and happiness.

In the course of events the population of the region rejected the direct government introduced after restoration of jurisdiction of Georgia in 1920.

Confrontation between the pro-Georgian and anti-Georgian forces, as well as ideological war set between the political organizations and propagandists extremely aggravated political situation in Adjara. Unfortunately, the Liberation Committee and its printing body agitated the idea of autonomy. Gradually the confrontation acquired the form of fight for autonomy due to the fact, that the fruits of autonomy were considered useful for political ambitions of the mentioned parties. Autonomy was a lever to reach the government seats in the region and was the only way to hit the target.

The decision made by Georgian government on closing the newspaper "Muslim Georgia" (and also closure of „Sedai Mileti~) in the second half of 1920 refers to the fact that the information spread by the newspaper didn't cope with the state interests.

KEYWORDS: Adjara, Autonomy, Political Status, Region, Newspaper.